დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის
რექტორის 2020 წლის 19 მარტის №73 ბრძანებით;
დოკუმენტში ცვლილებები განხორციელდა
უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 29 ნოემბრის
№ 139469 ბრძანებით

შპს ევროპის უნივერსიტეტის მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები

2020

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად განისაზღვრება შპს ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა მოწყვლადი ჯგუფების ფინანსური მხარდაჭერისა და ხელშეწყობის მექანიზმები.
2. უნივერსიტეტის მიზანია საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ამ დოკუმენტით განსაზღვრული ჯგუფების წარმომადგენლები უზრუნველყოს მხარდაჭერის შესაბამისი მექანიზმებით.

მუხლი 2. მხარდაჭერის გავრცელების სფერო

1. ფინანსური შეღავათები ვრცელდება შემდეგ სამიზნე ჯგუფებზე:
ა) სოციალურად დაუცველ პირებზე;
ბ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე;
გ) მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირებზე;
დ) მრავალშვილიანი ოჯახის წევრებზე;
ე) ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილებზე.
2. იმ სტუდენტმა, რომელიც განეკუთვნება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სამიზნე ჯგუფს, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, შესაძლებელია მოიპოვოს მოწყვლადი ჯგუფებისთვის გათვალისწინებული ფინანსური შეღავათი.

მუხლი 3. ფინანსური შეღავათით სარგებლობის შესაძლებლობა და ოდენობა

1. უნივერსიტეტი მოწყვლად ჯგუფს მიკუთვნებულ სტუდენტებს სთავაზობს 20%-იანი ფინანსური შეღავათით სარგებლობის უფლებას. უნივერსიტეტი ყოველწლიურად განსაზღვრავს კვოტას, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ფინანსური შეღავათით. კვოტა გამოითვლება შემდეგი პრინციპით: ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხული პირების საერთო რაოდენობის არაუმეტეს 5%-ს შეუძლია ისარგებლოს სტუდენტთა მოწყვლადი ჯგუფებისთვის გათვალისწინებული ფინანსური შეღავათით. თუ ჩარიცხულ სტუდენტთაგან მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებული სტუდენტების რაოდენობა აჭარბებს 5%-ს, უპირატესობა მიენიჭება ერთიან ეროვნულ/საერთო სამაგისტრო გამოცდებზე ყველაზე მაღალი ქულის მქონე სტუდენტებს.
2. ერთიან ეროვნულ, საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის, სოციალური პროგრამის ფარგლებში მოპოვებული გრანტის ან სახელმწიფოს სხვა დაფინანსების მფლობელი სტუდენტების სწავლის საფასური თუ არ იფარება გრანტით/ფინანსური შეღავათით დაფინანსების შემდეგ, 20%-ის გამოთვლა ხდება იმ თანხიდან, რომელიც რჩება სწავლის საფასურისთვის შესაბამისი გრანტით/ფინანსური შეღავათით გათვალისწინებული თანხის გამოკლების შედეგად. ხოლო, მოწყვლად ჯგუფს მიკუთვნებული სტუდენტებისთვის სახელმწიფოს მიერ სწავლის საფასურის სრულად დაფინანსების შემთხვევაში, სტუდენტი ვერ ისარგებლებს ამ წესით განსაზღვრული მხარდაჭერის პირობებით.

3. გარდა სწავლის საფასურის 20% - იანი შეღავათით სარგებლობის შესაძლებლობისა, სტუდენტის მიერ წერილობითი განცხადებით მომართვის შემთხვევაში, უნივერსიტეტისაშუალებას აძლევს სტუდენტს ისარგებლოს სწავლის საფასურის გადახდის

ინდივიდუალური გრაფიკით.

მუხლი 4. ფინანსური შეღავათით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად უნივერსიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტები

1. ამ დოკუმენტით გათვალისწინებული ფინანსური შეღავათით სარგებლობის მიზნით, ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად რექტორის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება სტუდენტთა განცხადებების წარმოდგენის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები. ფინანსური შეღავათით სარგებლობის უფლებამოსილების მქონე პირი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტს ფინანსური შეღავათის გამოყენების თაობაზე. განცხადებას დანართის სახით უნდა დაერთოს, შემდეგი დოკუმენეტები:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) სოციალურად დაუცველი პირების შემთხვევაში - სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული ცნობა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრაციის თაობაზე;

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შემთხვევაში - სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი ფორმა No50/II (ასლი);

დ) მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პირების შემთხვევაში - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრული რომელიმე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) მრავალშვილიანი ოჯახის წევრის შემთხვევაში - ცნობა ან რაიმე სახის სხვა დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება 5 ან მეტი დის, ძმის ან და-ძმის ყოლის ფაქტი;

ვ) ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილების შემთხვევაში - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რობლითაც დასტურდება ტერიტორიული მთლიანობისთვის გარდაცვლილ პირთან ოჯახური კავშირი.

მუხლი 5. დაფინასების წესი

1. უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია განიხილავს სტუდენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და ადგენს შესაბამისობას ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდეს:

ა) სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსი;

ბ) ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის - ფაკულტეტის/ფაკულტეტების დეკანი/დეკანები;

გ) იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი;

დ) ფინანსური სამსახურის წარმომადგენელი.

2. რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში კომისია განიხილავს სტუდენტთა განაცხადებს და რექტორს წარუდგენს დაფინანსების უფლების მქონე კანდიდატებს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული კვოტის ფარგლებში. ფინანსური შეღავათით სარგებლობის უფლების მინიჭება ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე. ბრძანება გამოიცემა დაწესებულების პრეზიდენტთნ შეთანხმებით.

3. თუ, ვერ იქნა დადგენილი წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ამ წესით განსაზღვრული პირობების შესაბამისობა, აღნიშნულის შესახებ სტუდენტს ეცნობება წერილობითი სახით.

4. ყოველი აკადემიური სემესტრისდასაწყისში უნივერსიტეტი, სტუდენტს მოსთხოვოს განახლებული დოკუმენტის წარმოდგენას, რომლითაც დასტურდება პირის მოწყვლადი ჯგუფისადმი კუთვნილება. სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ასეთი სახის დოკუმენტი.
5. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ/ვერ წარმოადგენს ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ დოკუმენტს ან მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით აღარ იკვეთება მოწყვლადი ჯგუფისადმი კუთვნილება, უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტს შეუწყვიტოს ფინანსური შეღავათით სარგებლობის უფლება.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით.
2. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების, დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამის